

სამსახურებრივი სარგებლობისათვის

სომხეთ - აზერბაიჯანის კონფლიქტი

1. შესავალი

2020 წლის 27 სექტემბერს გამწვავდა კონფლიქტი საქართველოს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, მთიანი ყარაბაღისა და მის გარშემო არსებული 6 რაიონის გამო, რომლებიც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში იყო ოკუპირებული სომხური შეიარაღებული ძალების მიერ, რუსეთის მხარდაჭერითა და დახმარებით. ამ კონფლიქტის შედეგად დღემდე აზერბაიჯანის დარჩენილ ტერიტორიაზე მთიანი ყარაბაღიდან და მის მიდებარე ტერიტორიებიდან დევნილი მილიონამდე იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს, რაც ქვეყანას უქმნის დიდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა სახის სირთულეებს.

საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს არც მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას და არც მის მიმდებარე 7 რაიონზე სომხეთის იურისდიქციას. უფრო მეტიც, მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას არ ცნობს თავად სომხეთიც. საქართველო, საერთაშორისო თანამეგობრობის კვალდაკვალ, მხარს უჭერს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვევობასა და სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას.

სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს მრავალი მიზეზი აქვს. 1991 წელს მთიანი ყარაბაღის ავტონომიურმა რესპუბლიკამ, რომელიც იყო აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში და რომლის მოსახლეობის უმრავლესობასაც შეადგენდნენ ეთნიკური სომხები, გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამ კონფლიქტის წარმოშობაში გარკვეული როლი ითამაშა დემოგრაფიულმა ფაქტორმა, თუმცა გარდა ამისა, იმ პერიოდში სამხრეთ კავკასიის დესტაბილიზაცია შედიოდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისა და ძალოვანი სტრუქტურების ინტერესებშიც, რადგან მოკავშირე რესპუბლიკებში ძლიერდებოდა ეროვნული მოძრაობები და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ცდილობდა მათზე კონტროლის

შენაჩუნებას სხვადასხვა ეთნოსებს შორის შუღლის ჩამოგდებითა და მათი ურთიერთდაპირისპირებით. შესაბამისად, საბჭოთა ხელმძღვანელობამ და მოგვიანებით მისმა სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციამ არ მიიღეს ქმედითი ზომები არა მარტო ამ კონფლიქტის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოშობილი სხვა კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების მიზნით. უფრო მეტიც, მათ ხელი შეუწყვეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მათ მიერვე ინსპირირებული კონფლიქტების გაღვივებას, თუმცა ფორმალურად აცხადებდნენ მათ მიმართ ნეიტრალურობას, მხარი დაუჭირეს ამ კონფლიქტებში მათთვის უფრო ლოიალურ მხარეს და შექმნეს რამდენიმე ე.წ. „გაყინული კონფლიქტი“, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებდნენ ზეწოლას ამ კონფლიქტებში მონაწილე სახელმწიფოებზე.

მიუხედავად ამისა, შემდგომ მათ ვერ შეაჩერეს იმპერიის დეზინტეგრაციის პროცესიც, რომლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს ეთნო-კონფლიქტები გახდა და რომელთა შედეგადაც მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა, საქართველოს ჩათვლით. სომხეთის სახელმწიფო დღემდე ფორმალურად არ აღიარებდა ყარაბაღის დამოუკიდებლობას, თუმცა დე - ფაქტო ყოველმხრივ მხარს უჭერდა მას და ეხმარებოდა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასა და განვითარებაში, სავარაუდოდ იმ მიზნით, რომ მომავალში ეს ტერიტორია პირდაპირ სომხეთს მიუერთოს.

1991-1994 წლებში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი 1994 წელს შეწყდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით, რომლის შედეგადაც აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% დარჩა სომხური ძალების კონტროლის ქვეშ, თუმცა აზერბაიჯანული მხარე არასოდეს შეგუებია ტერიტორიული მთლიანობის დაღვევას და ცდილობდა ამ საკითხის გადაწყვეტას მოლაპარაკებების გზით, მათ შორის ეუთო-ს ეგიდით შექმნილი „მინსკის ჯგუფის ფარგლებში“ (აშშ, საფრანგეთი, რუსეთი).

შესაბამისად, დღემდე სომხურ - აზერბაიჯანული კონფლიქტი იყო ე.წ. „გაყინული კონფლიქტი“, თუმცა რამდენჯერმე წარსულშიც მოხდა ამ კონფლიქტის გამწვავება და მისი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზრდა. ასეთ უკანასკნელ გამწვავებას ადგილი ჰქონდა 2020 წლის ივლისში, მაგრამ ყველა ადრინდელ ინციდენტს ჰქონდა ლოკალური ხასიათი და არც ერთი მათგანი არ გადაზრდილა ფართომასშტაბიან ომში. მხოლოდ 27 სექტემბერს დაწყებულმა დაპირისპირებამ მიიღო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების სახე, რომელშიც მონაწილეობს მხარეების სამხედრო ავიაცია, ჯავნშან-ტექნიკა, სარაკეტო დანადგარები და მძიმე არტილერია. მხარეები ასევე იტყობინებიან ტერიტორიული და მნიშვნელოვანი სამხედრო და სხვა სახის ადამიანური დანაკარგებისა და მსხვერპლის შესახებ.

როგორც სომხეთი, ისე აზერბაიჯანი საქართველოს ახლო პარტნიორი სახელმწიფოებია, რომლებთანაც საქართველოს აკავშირებს ისტორიული თანაცხოვრება და მეგობრობა, ამიტომ საქართველოს ინტერესებში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტაა, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტალური პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

2. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გამწვავების ხელშემწყობი ფაქტორები

აღსანიშნავია, რომ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის 30-წლიანი ისტორიის მანძილზე სომხეთიცა და აზერბაიჯანიც აგრძელებდნენ განვითარებას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ამასთან, მათ აირჩიეს განვითარების სხვადასხვა ტრაექტორია, მათი ისტორიის, გეოგრაფიული მდებარეობის, ეროვნული თვითმყოფადობის, ადათ-წესებისა და სხვა ფაქტორების შესაბამისად.

აზერბაიჯანმა ხელისუფლებაში 1994 წელს გამოცდილი პოლიტიკოსისა და მმართველის ჰეიდარ ალიევის (შისი სიკვდილის შემდეგ კი ილჰამ ალიევის) მოსვლის შემდეგ კურსი სტაბილიზაციაზე, რეფორმებზე და ეკონომიკის განვითარებაზე აიღო. მან შეძლო ქვეყანაში ეფექტიანი აღმასრულებელი ვერტიკალისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა და ქვეყანაში ნავთობისა და გაზის სფეროებში დასავლური მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვა, მიუხედავად იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემებისა. გარდა ამისა, აზერბაიჯანმა საქართველოს და თურქეთთან ერთად მოახერხა ბაქო-ჯეიჰანისა და ბაქო სუფსის ნავთობსადენების ბაქო - ერზურუმის გაზსადენის (აგრეთვე ტრანს-ანატოლიური და ტრანს-ადრიატიკული გაზსადენების) და ბაქო-თბილისი ყარსის რკინიგზის პროექტების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, მსოფლიო და ევროპის ენერგეტიკულ რუკაზე ადგილის დამკვიდრება და მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღება, რამაც საშუალება მისცა ჩამოეყალიბებინა თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება, განეხორციელებინა შეიარაღებული ძალების გადაიარაღება და გაძლიერება. ზემოხსენებული პროექტები განხორციელდა სომხეთის გვერდის ავლით.

ამასთან, აზერბაიჯანმა სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის და სხვადასხვა მიზეზების გამო უარი თქვა როგორც ევროინტეგრაციაზე, ისე რომელიმე პოლიტიკურ და თავდაცვით ბლოკში გაწევრიანებაზე.

2012 წლის 8 ივნისს აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს „ტრაპზონის დეკლარაციას“, რომელმაც

საფუძველი დაუდო ამ სამ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებას, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ჩათვლით. აქვე საფუძველი ჩაეყარა საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრიალს და შეიქმნა და განხორციელდა 2013-2015 წწ. სამოქმედო გეგმა.

2016 წელს დაარსდა სამი ქვეყნის სტრატეგიული საბჭო და ჩამოყალიბდა ფორმატი, რომელიც მოიცავს აგრეთვე პრეზიდენტების, თავდაცვის მინისტრების და პარლამენტის საგარეო კომიტეტების სამხრივ თანამშრომლობასაც. სამხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით არსებობს სამხრივი ბიზნეს-ფორუმების ჩატარების პრაქტიკაც. გარდა ამისა საქართველო და აზერბაიჯანი არიან სუამისა და ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანი თურქეთთან ერთად საქართველოს ერთ-ერთ უახლესი პარტნიორია და ამ სამ ქვეყანას ერთობლივად უწევს მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტა.

სომხეთის ხელისუფლებამაც, მიუხედავად აზერბაიჯანთან კონფლიქტისა, რუსეთისა და საზღვარგარეთ სომხური დიასპორის მეშვეობითა და მხარდაჭერით შეძლო თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისა და ძლიერი და თანამდეროვე შეიარაღებული ძალების შექმნა და გიუმრიში რუსეთის სამხედრო ბაზის დამკვიდრების შემდეგ აზერბაიჯანთან სამხედრო პარიტეტის მიღწევა.

ამასთან სომხეთმა რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების პარალელურად გეზი აიღო ევროინტეგრაციაზე და ჩაერთო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მომზადების პროცესში. თუმცა, 1913 წლის სექტემბერში რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ სომხეთმა „მოულოდნელად“ შეცვალა პოლიტიკური კურსი და შეუერთდა რუსეთის მიერ მართულ ევრაზიულ საბაჟო კავშირსა და კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებას.

მიუხედავად ამისა, სომხეთის ხელისუფლებამ არაერთხელ გამოთქვა ევროკავშირთან თანამშრომლობის გააქტიურების სურვილი და მზადყოფნა 2017 წელს ხელი მოაწერა ევროკავშირთან მრავალმხრივი პარტნიორობის ხელშეკრულებას. შესაბამისად, მიუხედავად სტრატეგიული პარტნიორობისა რუსეთთან სომხეთი არ წყვეტს ტრადიციულ კავშირებს ევროპასთანაც. ამაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ევროპასა და აშშ-ში მცხოვრები მრავალრიცხოვანი და გავლენიანი დიასპორა.

ჯერ-ჯერობით არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, თუ რომელი მხრიდან მოხდა პირველად ცეცხლის გახსნა. კონფლიქტის გამწვავების საფრთხე მუდმივად არსებობდა ორი ქვეყნის შეხების წერტილებში შეიარაღებული ძალების კონცენტრაციის მაღალი დონის გამო. აზერბაიჯანული მხარის განცხადებით, ის

ახორცილებს „საპასუხო იერიშს“, სომხური მხარის მხრიდან ცეცხლის გახსნის საპასუხოდ, თუმცა სომხური მხარე უარყოფს პირველად ცეცხლის გახსნის ფაქტს.

ფაქტია, რომ მიმდინარეობს ფართო-მასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები, რომელსაც თან ახლავს ნგრევა და ადამიანური მსხვერპლი. არ არის გამორიცხული, რომ მხარეთა პოზიციის შეურიგებელი ხასიათი გამომდინარეობს იმ ფაქტიდანაც, რომ მსოფლიოსა და ევროპის ლიდერების ყურადღება გადატანილია ისეთ პრობლემებზე, როგორცაა კორონავირუსის პანდემია, მსოფლიო ეკონომიკის რეცესია, აშშ-ს არჩევნები და სხვა.

საექსპერტო წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთისა და აშშ-ს მთავრობების ჯერ-ჯერობით თავშეკავებული პოზიცია შეიძლება დაკავშირებული იყოს აშშ-ში საარჩევნო კამპანიასთანაც. თუ მიმდინარე სისხლისმღვრელი კონფლიქტის შეჩერებას შეძლებს ეუთო-ს მინსკის ჯგუფი, რომელშიც საფრანგეთთან ერთად შედიან რუსეთი და აშშ, ეს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების საკითხში წარმატებასთან ერთად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმატებად.

მიუხედავად ამისა, მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი სახელმწიფოსა და ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ლიდერმა გამოთქვა შეშფოთება ხსენებული კონფლიქტის გამწვავების გამო და მხარეებს მოუწოდა, რომ მოხდეს ცეცხლის შეწყვეტა და სადავო საკითხების გადაწყვეტა მოლაპარაკებების გზით. თუმცა აღსანიშნავია, რომ აქამდე ვერც ერთი საერთაშორისო ფორუმის დარგლებში ვერ მოხერხდა არსებული პრობლემების გადაწყვეტა და აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% რჩებოდა ოკუპირებული სომხური ძალების მიერ. ამან შესაძლოა, რომ ასევე უბიძგა მხარეებს ამ კონფლიქტის მიმართ რადიკალური პოზიციის დაკავებისაკენ.

3. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გამწვავების შესაძლო გავლენა საქართველოზე და სამხრეთ კავკასიის რეგიონის განვითარებაზე

დღევანდელი შეიარაღების პირობებში ნებისმიერ შეიარაღებულ კონფლიქტს შეიძლება დამანგრეველი გავლენა და შედეგები მოყვეს როგორც კონფლიქტური რეგიონის, მისი საინვესტიციო გარემოს, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკისათვის, ისე მეზობელი რეგიონებისათვის.

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში არსებობს ალბათობა, რომ ორმხრივი ცეცხლი სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მონაკვეთებშიც გაიხსნას, მათ შორის საქართველოს საზღვრის უშუალო სიახლოვეს. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ დაპირისპირება გავრცელდეს

საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის წითელი ხიდის რაიონში, სადაც ერთდება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის სახელმწიფო საზღვარები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამ ქვეყნებთან არ აქვს დასრულებული სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობები და მომავალში გაართულოს ამ პროცესის წარმატებით დასრულება. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა დანაღმონ გზები და საქართველოს სასაზღვრო მონაკვეთები, რათა საქართველოს ტერიტორია არ იყოს გამოყენებული მოულოდნელი შეტევის მიტანის მიზნით (რისი მაგალითიც უკვე არსებობს წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე). დანაღმული მონაკვეთების განაღმვა კი რთული და საშიში ამოცანაა.

არსებული ინფორმაციით, სომხეთის არსენალშია "ისკანდერისა" და "ტოჩკა-უ"-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო სისტემები, ხოლო აზერბაიჯანის შეირაღებაშია "პოლონეზის", "ტოჩკა-უ"-სა და "ლორას" ტიპის სარაკეტო სისტემები, რომლებიც არანაკლები დამანგრეველი ძალით გამოირჩევიან. შორსმსროლელი არტილერიის სახით მოწინააღმდეგე მხარეებს ასევე ჰყავთ "სმერჩის", "ურაგანისა" და "გრადის" ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, რისი შესაძლო გამოყენების შესახებ უკვე განაცხადა სომხურმა მხარემ, რომელსაც თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ თაიპ ერდოღანმა „ბანდიტური სახელმწიფო“ უწოდა. საპასუხოდ სომხეთის პრეზიდენტმა არმენ სარქისიანმა განაცხადა, რომ „თუ საერთაშორისო თანამეგობრობა არ ჩაერევა კავკასია გახდება დიდი პრობლემა ყველასათვის“.

საქართველოს საზღვართან რაც უფრო ახლოს გაიმართება დაპირისპირება, მით უფრო იზრდება იმის შანსი, რომ „ნებსით თუ უნებლიეთ“ დაიბომბოს საქართველოს ტერიტორიაც.

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დროში გახანგრძლივების შემთხვევაში ორივე მხარეს დასჭირდება საბრძოლო მარაგის შევსება ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების გასახანგრძლივებლად. ორივე ქვეყანამდე სამხედრო ტვირთების ტრანზიტის ძირითადი მარშრუტი სწორედ საქართველოზე გადის, რაც ზრდის საქართველოს კონფლიქტში ჩათრევის საფრთხეს.

საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკურად მცხოვრებმა სომეხმა, აზერბაიჯანელმა და სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეებმა შეიძლება სცადონ მონაწილეობა მიიღონ საბრძოლო მოქმედებებში ან სხვა სახით გაუწიონ დახმარება მხარეებს, რაც ზრდის საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს ჩათრევის და საბრძოლო მოქმედებების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანის საფრთხეს, რასაც დამანგრეველი შედეგები შეიძლება მოყვეს საქართველოსათვისაც.

დაპირისპირების გამწვავების პირობებში შეიძლება სამიზნე გახდეს რეგიონული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტებიც, როგორცაა მინგეჩაურის წყალსაცავი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსის, ბაქო-ერზერუმის მილსადენები და ბაქო-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, რომელიც აშენდა სომხეთი გვერდის ავლით და სომხეთის ატომური ელექტროსადგური, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გრძელვადიანი ეკოლოგიური კატასტროფა.

შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაციის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ მხარეებმა დაიწყონ ერთმანეთის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაბომბვა, რასაც ნგრევასა და ადამიანურ მსხვერპლთან ერთად შეიძლება მოყვეს უკონტროლო ლტოლვილების დიდი ნაკადები, რამაც შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს საქართველოში ლტოლვილებთან დაკავშირებით არსებული ისედაც რთული მდგომარეობა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საქართველომ მხარეებს მოუწოდა ცეცხლის შეწყვეტისაკენ და შესთავაზა შესაძლო სამშვიდობო მოლაპარაკებების მასპინძლობა.

სადღეისოდ გაურკვეველია, ვის მხარეს იქნება სამხედრო უპირატესობა. ნატო-ს წევრი თურქეთი ცალსახად მხარს უჭერს აზერბაიჯანს, თუმცა ჯერ ნატოსთვის მხარდაჭერისათვის არ მიუმართავს. სომხეთსა და რუსეთს ერთმანეთის ურთიერთდახმარების სახელშეკრულებო ვალდებულებები აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში საქართველომ მაქსიმალურად უნდა სცადოს სამხედრო დაპირისპირებაში ჩარევისაგან თავის შეკავება, თუ სამხედრო მოქმედებები არ გავრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე, შეუერთდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის კუთხით, კონფლიქტის გამწვავების პირობებშიც გააგრძელოს დაბალანსებული და პრაგმატული საგარეო პოლიტიკის გატარება და ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებით მაქსიმალურად გაზარდოს თავისი ეკონომიკური მდგრადობა და სამხედრო-თავდაცვითი პოტენციალი.